საქართველოს
სახალხო დამცველი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი

ბიულეტენი N1

2017

პერიოდული გამოცემა

სარჩევი

სახალხო დამცველის მისალმება 3

მთავარი მოვლენა 4

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის საქმიანობა 5

- რეკომენდაციები და წინადადებები 5
- **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული ვიზიტები** 9
- **მონიტორინგი აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში** 9
- **გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის ახალი წევრების შერჩევა** 10
- **კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს სხდომები** 10
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია** 11

სამუშაო შეხვედრები (დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან) 12

- **შეხვედრა ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე** 12
- **სამუშაო შეხვედრა ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შესახებ** 13

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების მონიტორინგი 13

საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა 13

ფოკუსი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა 14

ექსპერტის მოსაზრება 17

შშმ პირთა უფლებების აქტივისტის კობა ნადირაძის მოსაზრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის მნიშვნელობასა და არსებული მდგომარეობის შესახებ 17

სახალხო დამცველის მისალმება

წინამდებარე ბიულეტენი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის პირველ პერიოდულ გამოცემას, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატისა და აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ერთ–ერთ მრავალრიცხოვანი მოწყვლადი ჯგუფია ქვეყანაში. მძიმეა მათი უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა, მწირია მათი მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შედეგად ირღვევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების ფუძემდებლური პრინციპი – „არაფერი ჩვენს შესახებ – ჩვენს გარეშე“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე სტრუქტურული ერთეული სახალხო დამცველის აპარატში 2008 წლიდან ფუნქციონირებდა. 2014 წლიდან საქართველოს მთავრობამ სახალხო დამცველი დასახელდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ეროვნულ ორგანოდ. მანდატის გაფართოების კვალდაკვალ გაძლიერდა ჩვენი ძალისხმევა ქვეყნაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიმართულებით. ამასთან, პრიორიტეტად დავისახეთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და კონვენციის თაობაზე, რაც, ბუნებრივია, ემსახურება ამ პირთა უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.

ბიულეტენში გაეცნობით სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის საქმიანობას, კონვენციის პოპულარიზაციისა და განხორციელების მიზნით მიღებულ ზომებს, სფეროს მარეგულირებელ საერთაშორისო სტანდარტებს და სიახლეებს.

ამასთან, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უფლების რეალიზების კუთხით არსებულ გამოწვევებზე. ასევე წარმოგიდგენთ ექსპერტის მოსაზრებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობასთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებების არსებული პრაქტიკის შესახებ.

მთავარი მოვლენა

საერთაშორისო საზოგადოებამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა უკვე რამდენიმე ათეული წელია დანერგა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია (CRPD), 2006 წელს იქნა მიღებული. კონვენცია წარმოადგენს უნივერსალური შეთანხმების შედეგს და ავსებს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს. ეს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოში ძალაში შევიდა 2014 წელს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების სათანადოდ რეალიზების მიზნით სახელმწიფოს აკისრებს მთელ რიგ ვალდებულებებს, მათ შორის – ეროვნულ დონეზე დაასახელოს და გააძლიეროს კონვენციის იმპლემენტაციასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებები.

2014 წლის 27 ოქტომბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს N6 სხდომაზე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ეროვნულ ორგანოდ საქართველოს სახალხო დამცველი დასახელდა.[1] სახალხო დამცველმა მიიღო ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა და ჩამოაყალიბა კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მაქსიმალურად პლურალისტური და ინკლუზიური მექანიზმი[2].

სახალხო დამცველმა მექანიზმის ფორმირების პროცესშივე მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაზრებების, გაეროს კომიტეტის მიდგომისა და სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილების მაქსიმალურად გათვალისწინებისთვის. ამ მიზნით ჩატარდა მცირე კვლევები, საჯარო დებატები, შედგა რამდენიმე ფართომასშტაბიანი და ინდივიდუალური შეხვედრა სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შედეგად, ჩამოყალიბდა მექანიზმი, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ რამდენიმე სტრუქტურას – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტს, შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს და მონიტორინგის ჯგუფს. თითოეულს აქვს გამიჯნული ფუნქცია, თუმცა მონიტორინგის პრიორიტეტებისა და შინაარსის განსაზღვრისას წამყვანი როლი ენიჭებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებს. საკონსულტაციო საბჭო არის სახალხო დამცველთან არსებული სათათბირო ორგანო, რომელიც განსაზღვრავს კონვენციის პოპულარიზაციისა და მონიტორინგის სტრატეგიასა და პრიორიტეტებს. დებულების მიხედვით საბჭოში თანაბრად არიან წარმოდგენილი როგორც სახალხო დამცველის

[1] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს 2015 წლის 26 მარტის N24332 წერილი;

[2] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/shshm-pirebis-uflebata-dacvis-departamenti/shshm-pirta-uflebebis-konvenciis-monitoringis-meqanizmi

აპარატის, ასევე შშმ პირთა და სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოწვეულ წევრთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით, მათი გამოცდილებისა და ობიექტურობის გათვალისწინებით. საკონსულტაციო საბჭო საქმიანობას ახორციელებს სხდომების საშუალებით, რომელიც მინიმუმ 2 თვეში ერთხელ იმართება. უნდა აღინიშნოს, რომ შექმნის დღიდან ამ წესის სრული დაცვით საბჭომ 12 შეხვედრა გამართა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მთავარ შედეგს წარმოადგენს კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ მომზადებული ალტერნატიული ანგარიში[3], რომელიც საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტს 2017 წლის 14 ივნისს წარუდგინა. 74 გვერდიანი დოკუმენტის მიზანია კომიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია იმ მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე, რომლებზეც ყურადღების გამახვილებას სახალხო დამცველი მიიჩნევს რელევანტურად საქართველოში კონვენციის იმპლემენტაციაზე მსჯელობის დროს.

საქართველოს სახალხო დამცველი მზად არის შესაბამისი პროცედურების დაცვით მიიღოს მონაწილეობა გაეროს კომიტეტის მიერ საქართველოს ანგარიშის განხილვის შემდგომ პროცესებში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის საქმიანობა

რეკომენდაციები და წინადადებები

რეკომენდაცია მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების თაობაზე

2017 წლის 24 იანვარს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“ მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

დაწესებულების ერთ–ერთი ბენეფიციარის სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტის შესწავლის საფუძველზე სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დაწესებულებაში არსებული კონფლიქტური სიტუაციის ესკალაციისა და მედიაციის მიზნით უნდა გატარდეს ღონისძიებები, მათ შორის აიკრძალოს ბენეფიციარების ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანის (ან/და გადაყვანის მუქარის) დასჯის მეთოდად გამოყენება. ასევე აღიკვეთოს მცირე ჯგუფების/ცალკეული პირების მიერ პრივილეგიების მოპოვების შესაძლებლობა და უზრუნველყოფილ იქნას ყველა ბენეფიციარის მიერ თანაბარი უფლებებით სარგებლობა. მოხდეს სხვა ორგანიზაციების ფსიქოლოგიური

[3] ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4573.pdf>

სამსახურების ჩარევა; დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილ იქნას ზოგადი პროფილის და ექიმი–ფსიქიატრის ხელმისაწვდომობა, ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში. ასევე სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის მომსახურების ხელმისაწვდომობა.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია ბროწლიანის სათნოების სახლში არსებული პრობლემების შესახებ

2017 წლის 21 მარტს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს ა(ა)იპ „ბროწლიანის სათნოების სახლში“ არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ მომსახურების მიწოდება არ ხორციელდება ბენეფიციარებზე ორიენტირებულ გარემოში. სერვისი არ არის მორგებული ინდივიდუალურ საჭიროებებზე, არ არის დაცული უსაფრთხოება და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სათანადო ყურადღება არ ექცევა ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამასთან არ ხდება მათი სოციალური აქტიურობის ხელშეწყობა. დაუყოვნებელ ცვლილებას საჭიროებს რთული ქცევის მართვის კუთხით დაწესებულებაში დამკვიდრებული ნეგატიური პრაქტიკა.

გამოვლენილი პრობლემებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა, მოუწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უზრუნველყოს ა(ა)იპ „ბროწლიანის სათნოების სახლის“ მიერ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და ეროვნული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების მიწოდება. ამასთან უზრუნველყოს სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა, მათი კომპეტენციის ფარგლებში ბენეფიციართათვის შესაბამისი დახმარების გაწევის მიზნით.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცნობით,[4] დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის გადამოწმებისას გამოიკვეთა, რომ მომსახურების მიმწოდებელმა რეკომენდაციების ნაწილი შეასრულა, ხოლო დარჩენილი საკითხების გასათვალისწინებლად სამინისტრო კვლავ განახორციელებს მონიტორინგს და გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობას.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მინდობით აღზრდის სერვისში არსებული პრობლემების შესახებ

[4] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/27108–28 აპრილი, 2017 წელი.

2017 წლის 3 აპრილს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[5] მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადეკვატური ზრუნვის შეთავაზება, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია სახალხო დამცველის აპარატმა მიმღებ ოჯახში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების მიხედვით შეიმუშავა.

გამოვლინდა, რომ მომსახურების მიწოდება არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. მიმღები მშობელი არ ფლობს დაუნის სინდრომის მქონე პირების ფიზიკური, ფსიქო-მოტორული, ემოციური, სოციალური, კოგნიტური განვითარებისთვის საჭირო უნარებს, მათთან მუშაობისთვის აუცილებელ ცოდნას; სათანადოდ ა ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ არ ხდება მიმღებ ოჯახში აღსაზრდელების გონივრულად განთავსება (მათ შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით). არ მიმდინარეობს ადეკვატური ზედამხედველობა მათ მდგომარეობაზე, რაც საფრთხის წინაშე აყენებს აღსაზრდელების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, განვითარებას და უსაფრთხოებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეისწავლოს მიმღებ ოჯახში ერთდროულად 5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხი და ადეკვატური სახელმწიფო ზრუნვის სერვისის შეთავაზების თაობაზე გადაწყვეტილება ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს; განახორციელოს მინდობით აღზრდის სერვისის სისტემატური ზედამხედველობა და ჯეროვანი მონიტორინგი; ასევე, გაატაროს საჭირო ღონისძიებები თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარის ლ.ბ.–ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და დააწესოს კონტროლი მათ შესრულებაზე.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს[6] ინფორმაციით, სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად, გატარდა რიგი ღონისძიებები მინდობით აღზრდაში განთავსებული ბენეფიციარების მდგომარეობისა და ზოგადად აღნიშნული სახელმწიფო სერვისის გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდაცია საჯარო სკოლების რესურს-ოთახების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ

---

[5] იხ. რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მინდობით აღზრდის სერვისში არსებული პრობლემების შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4342.pdf

[6] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/23734–18 აპრილი, 2017 წელი.

2017 წლის 20 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით[7] საჯარო სკოლების რესურს-ოთახების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრის თაობაზე.

სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, საქართველოს რამდენიმე საჯარო სკოლაში რესურს–ოთახები დროებით გადაცეს საუბნო საარჩევნო კომისიებს. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას ესარგებლათ განათლების მიღების დროს მათთვის განსაზღვრული ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელოვანი კომპონენტით.

გამოვლენილი პრობლემიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმოიფხვრას საჯარო სკოლებში არსებული რესურს–ოთახების საუბნო–საარჩევნო კომისიების საქმიანობისთვის გამოყენების პრაქტიკა; 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და შემდგომ პერიოდში საჯარო სკოლების შენობებში საუბნო საარჩევნო კომისიების განთავსების დროს დაწესდეს მკაცრი კონტროლი რესურს–ოთახების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე და განხორციელდეს ეფექტური ზედამხედველობა დასახელებული მიდგომის პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახალხო დამცველს აცნობა[8], რომ რეკომენდაცია გაიგზავნა საქართველოს მასშტაბით არსებულ ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და საჯარო სკოლაში. ამასთან წერილში აღნიშნულია, რომ რეკომენდაციის პრაქტიკაში ეფექტურად იმპლემენტაციის მიზნით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულები ზედამხედველობას გაუწევენ საჯარო სკოლების შენობებში რესურსოთახების სამუშაო სივრცის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

სახალხო დამცველის წინადადება მთავრობას შშმ პირთა რეაბილიტაციის მომსახურებით უზრუნველყოფის თაობაზე

2017 წლის 18 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა ზრდასრულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურების უზრუნველყოფის[9] წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას.

---

[7] იხ. რეკომენდაცია საჯარო სკოლების რესურს-ოთახების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4593.pdf

[8] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 1 1700828141-13.07.2017

[9] იხ. წინადადება ზრდასრულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურების უზრუნველყოფის თაობაზე. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4692.pdf

საქართველოში მოქმედი სარეაბილიტაციო ცენტრების სერვისები მიუწვდომელია შშმ პირთათვის, სახელმწიფოს მოქმედი სოციალური პროგრამების ცალკეული კომპონენტები ფრაგმენტულად ემსახურება მათი სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნებს, თუმცა, მის ფარგლებში არ ხდება ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე პირისთვის ადეკვატური სპეციალიზებული სერვისის მიწოდება. სარეაბილიტაციო ღონისძიებების ნაკლებობა იწვევს შშმ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას და მათი უფლებების დარღვევას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული ვიზიტები

2017 წლის აპრილი–ივლისის თვეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის ღონისძიებების ფარგლებში დაიგეგმა და მოეწყო 8 გასვლითი შეხვედრა დუშეთის, გარდაბნის, რუსთავის, მცხეთის, გორის, თერჯოლის, მარნეულის, ბორჯომის მუნიციპალიტეტებში.

ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების კუთხით არსებულ გამოწვევებზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის გაზრდა და მუნიციპალურ დონეზე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება.

შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

მონიტორინგი აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში

2017 წლის 22 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მონიტორინგი განახორციელეს აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში; შეისწავლეს დაწესებულებაში არსებული გარემო, სამედიცინო დოკუმენტაცია, პაციენტების მკურნალობისა და რეაბილიტაციის საკითხი; გაესაუბრნენ სტაციონარში ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით მოთავსებულ, ასევე იძულებით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს, დაწესებულების თანამშრომლებს. მონიტორინგის დროს

გამოვლენილი ტენდენციები ასახული იქნება სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის შემდგომ ანგარიშში.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის ახალი წევრების შერჩევა

2017 წელს სახალხო დამცველმა კონკურსის საფუძველზე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის ახალი წევრები შეარჩია:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვახუშტი მენაბდე, ა(ა)იპ „ვიმეგობროთ“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე გივი ჯვარშეიშვილი, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ პროექტის მენეჯერი ანა არგანაშვილი, ა(ა)იპ „ქალი, ბავშვი და სოციუმი“ დამფუძნებელი, გამგეობის თავმჯდომარე ნანა შარაშიძე, ა(ა)იპ „პარტნიორობა სოციალური კეთილდღეობისთვის“ დირექტორი გიორგი კაკაჩია.

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი მოვალეობაა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, გეგმიურ და საჭიროებიდან გამომდინარე, არაგეგმიურ მონიტორინგის მისიებში (ვიზიტებში) მონაწილეობა – შემოწმების ჩატარება და ანგარიშგება. ასევე, კონკრეტულ თემატიკაზე ანალიზის/კვლევების განხორციელება.

კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს სხდომები

2017 წლის განმავლობაში ჩატარდა სახალხო დამცველთან არსებული გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრები.

საკონსულტაციო ორგანომ განიხილა კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე პროცესები, შშმ პირთა რეაბილიტაციის პროგრამების კუთხით არსებულ გამოწვევები, ადგილობრივ დონეზე ამ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების საქმიანობა. საუბარი შეეხო თვითმმართველი მუნიციპალიტეტების როლს და მათი ჩართულობის მნიშვნელობას შშმ პირთა უფლებების დაცვის პროცესში. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს გაეროს

კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. მათ შორის მონიტორინგის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების ფინანსურ უზრუნველყოფასა და პრიორიტეტებზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია

2017 წლის 22 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ სპეციალური ანგარიში[10] წარუდგინა, რომელიც ასახავს 2016 წლის განმავლობაში ამ პირთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით არსებულ ძირითად ტენდენციებს, პრობლემებსა და სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებს.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საანგარიშო პერიოდში უმთავრეს გამოწვევად რჩებოდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის შეფერხებული პროცესი. ქვეყანაში დღემდე არ არის შექმნილი მისი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი. კვლავ დღის წესრიგში დგას კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების საკითხი. ეფექტური ღონისძიებები არ განხორციელებულა სოციალური მოდელის დანერგვის მიზნით. არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება და ანალიზი.

[10] იხ. ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4562.pdf

ანგარიშის მიხედვით, სხელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის, ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ინფორმაციის მისაწვდომობისათვის. დაბალი იყო ხელისუფლების სხვადასხვა დონზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა. გარკვეული ბარიერები დაფიქსირდა მათ მიერ საარჩევნო უფლების განხორციელების დროს.

სამუშაო შეხვედრები (დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან)

შეხვედრა ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად არის ჩართული ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში. ამ მიზნით 2017 წელს 5 სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო უწყებები, ფსიქიატრიული დაწესებულებებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები.

სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მხარეებმა იმსჯელეს ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მეთოდოლოგიაში საჭირო ცვლილებებზე. ყურადღება დაეთმო ფსიქიატრიული დაწესებულებების პრივატიზაციის თემას; ასევე, დაწესებულებების გაერთიანებისა და მათი ოპტიმიზაციის პროცესს. აღნიშნულ პროცესში დარგის წარმომადგენლების ჩართულობის აუცილებლობას და ინვესტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგს. განიხილეს სტაციონარული დაამბულატორიული ფსიქიატრიული

დახმარების, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების, ალტერნატიული სათემო სერვისების განვითარების საკითხები. აღინიშნა, რომ არსებული პრობლემის გადაჭრაში ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობა.

სამუშაო შეხვედრა ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შესახებ

2017 წლის 31 მაისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველოში მოქმედი ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შესახებ. შეხვედრის მონაწილე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის შეთავაზებული პროგრამების თაობაზე ინფორმაცია გაცვალეს, არსებულ გამოწვევებსა და პრობლემების აღმოფხვრის გზებზე იმსჯელეს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების მონიტორინგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების მონიტორინგის ფარგლებში თბილისში, ასევე იმერეთის, აჭარის, კახეთის, სამეგრელოს და გურიის რეგიონებში მოეწყო ფოკუს ჯგუფის შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობით.

ამავე რეგიონებში აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან ერთად გამართულ ერთობლივ შეხვედრაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს მიაწოდეს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიური შეხვედრა

2017 წლის 17-18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ რუსუდან კოხოძემ ბელგიის ქალაქ ბრიუსელში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრა გაიმართა ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) ორგანიზებით და მასში მონაწილეობა მიიღო ევროპის 14 სახელმწიფოს, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ევროპული ფორუმის წარმომადგენლებმა.

სამუშაო ჯგუფის მიზანია ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმებსა და თანასწორობის ორგანოებს შორის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

ფოკუსი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, ეფექტური და სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველყოფას საქართველოს ავალდებულებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 29–ე მუხლი. აღნიშნული მოიცავს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებას, საარჩევნო პროცედურების, საშუალებებისა და მასალების მისაწვდომ, მარტივად გასაგებ და გამოსაყენებელ ფორმატს; სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე თანამდებობის დაკავებისა და საჯარო ფუნქციების შესრულების შესაძლებლობას; ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო საქმეთა მართვაში სრული, ეფექტიანი, თანაბარი და ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი მონაწილეობა.

საქართველოს კონსტიტუციის 28–ე მუხლით გარანტირებულია საქართველოს მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. თუმცა ამ უფლებით სარგებლობა წლების განმავლობაში ეზღუდებოდათ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს. 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე პირებს მიეცათ არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება, გარდა იმ მხარდაჭერის მიმღები პირებისა, ვინც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებული არიან სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.[11]

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ობიექტურად შეფასდეს რამდენად აქვთ შესაბამისი პირობები ფსიქო–სოციალური თუ სხვა საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დამოუკიდებლად ჩაერთონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

[11] საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 3, „ა.გ.“ ქვეპუნქტი.

ქვეყნის მასშტაბით არსებული მიუწვდომელი ფიზიკური გარემო, სერვისები და ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზების მთავრი ხელის შემშლელი ფაქტორია. ამასთან, სათანადოდ არ ხდება მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეალური ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ცალკეული აქტივობები ფრაგმენტულ და ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების რეალიზებისადმი მიმართული ნორმატიული ბაზა საჭიროებს დახვეწას და გაეროს კონვენციით დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა შეიცავს გარკვეულ რეგულაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის, რომელიც შეეხება საარჩევნო უბნების ფიზიკური მისაწვდომობისა და უშუალოდ საარჩევნო პროცესის ადაპტირების საკითხებს. თუმცა, მკაფიოდ არ არის გაწერილი საარჩევნო ადმინისტრაციის და სხვა სახელმწიფო უწყებების ვალდებულებები, რაც პრაქტიკაში პასუხისმგებლობის დელეგირების შესაძლებლობას ტოვებს.

დადებითად უნდა შეფასდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო გარემოს მისაწვდომობის მიზნით დანერგილი რამდენიმე სიახლე, მათ შორის: ცესკოს ოფიციალურ ვებ–გვერდის ადაპტირება უსინათლო პირებისთვის; საარჩევნო ინფორმაციის მიწოდება (პარტიების საარჩევნო პროგრამა, კანდიდატების ჩამონათვალი) აუდიო ფორმატში; ცესკოს საინფორმაციო ვიდეორგოლების და კენჭისყრის დღის საინფორმაციო ბრიფინგების სურდო თარგმანის თანხლებით ტრანსლირება; უსინათლო და მცირედ მხედველი ამომრჩევლების მიერ სპეციალური ჩარჩო/ფორმისა და გამადიდებელი ლინზის გამოყენების შესაძლებლობა და სხვა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიღებული ინფორმაციით, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის 3 634 საარჩევნო უბნიდან მხოლოდ 1115 (30.68%) საარჩევნო უბანი იყო ადაპტირებული (მარტივი ადაპტაცია, პანდუსი)[12]. 2017 წლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისთვის ადაპტირებულად მიიჩნევა 1152 უბანი (31.70%). შესაბამისად, ქვეყანაში საარჩევნო უბნების 70% არ არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტირების ხარისხი სრულად არ შეესაბამება კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. ზოგადად საარჩევნო პროცესების მისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს არ მოქმედებს კონვენციით დადგენილი უნივერსალური დიზაინის პრინციპი.[13]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის უფლების რეალიზების კუთხით არსებულ გამოწვევებზე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ცესკოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში სულ მონაწილეობა მიიღო 7027

[12] ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილი N01–07/2394 (21.09.2016).
[13] „საარჩევნო ხმის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ პოლიტიკის დოკუმენტი. გიორგი ნონიაშვილი, 2016 წელი. სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

შშმ ამომრჩეველმა (107 – ეტლით მოსარგებლე, 245 – ყრუ, 330 – უსინათლო და 6345 მცირე მხედველი).[14] აღსანიშნავია, რომ სსიპ სოციალურ მომსახურების სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით 2016 წლის ოქტომბრის თვეში ფიქსირდებოდა 115 268 სრულწლოვანი შშმ პირი[15], რომელთაგან მხოლოდ 6,1 %–მა (7027 პირი) მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. არათანაბარ საარჩევნო გარემოზე ნათლად მეტყველებს აღნიშნული მაჩვენებლის შედარება ამომრჩეველთა საერთო აქტივობასთან, რაც ცესკოს მონაცემებით 2016 წლის 8 ოქტომბერს 51 %–ზე მეტს შეადგენდა.[16]



მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებების არასაკმარისობისა, შეიძლება ითქვას, რომ ცესკოს პოლიტიკა ზოგადად მიმართულია ინკლუზიაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა სახელმწიფო პოლიტიკის, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში შშმ პირთა მსგავსი აქტივობის დამაბრკოლებელი გარემოება თითქმის არ მოიძებნება, მიუწვდომელი გარემოს და ინფრასტრუქტურის გამო ისინი პრაქტიკულად ვერ ახერხებენ ადმინისტრაციული დაწესებულებების შენობებში შეღწევას და სხდომებსა და შეხვედრებში მონაწილეობას.

სახელმწიფომ უნდა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების, სახელმწიფო და პოლიტიკურ

[14] ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილი N07/1717 (29.09.2017).
[15] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ–გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1191 [ბოლოს ნანახია 3.10.2017].
[16] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ–გვერდი <file:///C:/Users/rkokhodze.OMBUDSMAN/Downloads/monacileqalebi.pdf> [ბოლოს ნანახია 3.10.2017].

საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მეტი ძალისხმევა მიემართოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების გაძლიერებისკენ, რადგან მათი უმრავლესობა დღემდე მოკლებულია პიროვნული რეალიზაციის და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობებს.

ექსპერტის მოსაზრება

შშმ პირთა უფლებების აქტივისტის კობა ნადირაძის მოსაზრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის მნიშვნელობასა და არსებული მდგომარეობის შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია კონვენციის მომზადებაში შშმ პირთა უპრეცენდენტო ჩართულობის შესახებ, რომელიც განხორციელდა დევიზით - „**არაფერი ჩვენ შესახებ, ჩვენ გარეშე**“. ამ დოკუმენტს მისი ეფექტურობიდან გამომდინარე „კონვენციების კონვენციადაც“ მოიხსენიებენ.

კანონმდებლობისა და წინამდებარე კონვენციის განხორციელების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მონაწილე სახელმწიფოები მჭიდროდ ითანამშრომლებენ და აქტიურად ჩართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მათი ***წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საშუალებით***[17]*“.*

კონვენციის მოთხოვნების თანახმად სახელმწიფო, ვალდებულია, მხარი დაუჭიროს და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ მიერ საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე შექმნილი ორგანიზაციები, რათა მათ შეძლონ სრული, ეფექტური, თანაბარი და ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი მონაწილეობა **პოლიტიკის ფორმირებასა** და სახელმწიფო საქმეთა მართვაში.



[17] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მე-4 მ, მე-33. - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289; Building the Architecture for Change: Guidelines on Article 33 of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities - 3.2.1. Ensuring Adequate Representation (March, 2011) - http://mdac.info/sites/mdac.info/files/Article_33_EN.pdf

იმისათვის, რომ შევაფასოთ კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში შშმ პირთა ჩართულობის მდგომარეობა, აუცილებელია საკითხზე მომუშავე სუბიექტების - რესურსების რუკის შექმნა, მათ შორის:

- **საჯარო დაწესებულებები** (სამინისტროები, სსიპ-ები და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები), სახალხო დამცველის აპარატი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, სასამართლოები და ა.შ.)
- **სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები** (სსიპ-ები, მეწარმე და ა(ა)იპ-ები, მათ შორის შშმ პირთა ორგანიზაციები და სხვა)
- ანალიტიკური (**think tanks**) და სამოქალაქო მონიტორინგის (**watchdog**) საქმიანობის მქონე ა(ა)იპ-ები, მათ შორის შშმ პირთა **ორგანიზაციები** (**DPOs**)[18], ასევე დამოუკიდებელი ექსპერტები ანდა შშმ პირთა უფლებების აქტივისტები
- უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და პროფესიული ჯგუფები

საჯარო დაწესებულებებმა კონსულტირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა ეფექტური ჩართვისთვის მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ და შექმნან ისეთი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ:

- პროცესში ჩართულ პირებს გააჩნდეთ შესაბამისი პროფესიული ავტორიტეტი და რეპუტაცია;
- სტრუქტურის ფორმირება და საქმიანობის პროცესი იყოს გამჭვირვალე და ყოველმხრივ მისაწვდომი, როგორც უშუალოდ სტრუქტურებში ჩართული ისე საკითხით დაინტერესებული დანარჩენი პირებისთვის;
- **შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობა** მოიცავდეს შშმ პირთა სხვადასხვა ჯგუფებს (ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური, თუ სენსორული დარღვევების მქონე ადამიანებს), მათ შორის მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შშმ პირებს შორის არსებული განსხვავება სოციალური, ეთნიკური, ასაკობრივი და სხვა ნიშნების მიხედვით;
- სხვადასხვა დონეებზე სათათბირო - საკონსულტაციო სტრუქტურების დაკომპლექტებისა და საქმიანობისას ბალანსის დაცვა მოხდეს იმგვარად, რომ შშმ პირთა ორგანიზაციებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გააჩნდეთ არსებითი და თანაბარი როლი, სხვა მონაწილე სუბიექტებთან ერთად;
- საკუთარ შემადგენლობაში ჩართონ ის **სერვისის მიმწოდებელი**, ანალიტიკური და მონიტორინგის საქმიანობის მქონე, სამეწარმეო და ა(ა)იპ-ები, რომლებიც საკუთარ საქმიანობას წარმართავენ გამჭვირვალობის, ინტერესთა შეუთავსებლობის გამორიცხვისა და შშმ პირთა მისაწვდომობის სტანდარტების დაცვით;

[18] Guidelines on the participation of disabled persons' organizations and civil society organizations in the work of the Committee (CRPD/C/11/2 , Annex II) - http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fC%2f11%2f2&Lang=en

- მონაწილეთა შორის შექმნას **პლურალისტური გარემო,** ასევე **პარიზის პრინციპების გათვალისწინებით**, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები.

შშმ პირთა ჩართულობის შეფასების მატრიცა დონეების მიხედვით[19]

ინფორმირების დონე *(აი რის გაკეთებას ვგეგმავთ ~~ჩვენ_თქვენთვის~~)*	➔	**კონსულტირების დონე** *(~~თქვენ~~ რას ფიქრობთ ~~ჩვენი~~ გეგმის შესახებ?)*	➔	**ჩართულობითი გადაწყვეტილების დონე** *(რის გაკეთებას ვაპირებთ ~~ჩვენ~~ და როგორ შეგვიძლია ამის ~~ერთად~~ გაკეთება, როგორც პარტნიორებს)*
↓		↓		↓
არანაირი დამოკიდებულება		შეზღუდული ჩართულობა		თანასწორი პარტნიორობა
არანაირი ჩართულობა		გარკვეული ჩართულობა		ეფექტური ჩართულობა
არანაირი გავლენა		გავლენა დადგენილ ფარგლებში		ძლიერი გავლენა გადაწყვეტილებაზე

ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის შშმ პირებში, საკითხის მიმართ არსებული ცნობიერების, დამოკიდებულებისა და მიდგომების განვითარების შესაძლებლობების შესაბამისად, 80-იანი წლების მიწურულიდან დღემდე ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს საკითხზე მომუშავე ორგანიზაციათა სპექტრი: **სხვადასხვა მომსახურების (სერვისის) მიმწოდებელი ორგანიზაციები,** მათ შორის შშმ პირთა (**DPOs**) და ე.წ. მშობელთა კავშირები, ასევე პროფესიული და კოალიციური გაერთიანებები. მათი ძირითადი საქმიანობაა, შშმ პირთა სხვადასხვა ჯგუფების, ასევე შშმ ბავშვების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი სერვისებით, დამხმარე საშუალებებითა და მედიკამენტებით.

ასეთი ორგანიზაციები ასევე ახორციელებენ ადვოკატირების კამპანიებს, რომელთა უდიდესი ნაწილი პირდაპირ ანდა ირიბად მიმართულია საკუთარი სერვისების განვითარებასა და ცნობიერების ამაღლებაზე (მათ შორის და უმეტესწილად შშმ პირის დადებითი იმიჯის შექმნასა და სტიგმის დაძლევაზე). სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციათა განვითარების მდგრადობა არსებითად დამოკიდებულია სახელმწიფო დაკვეთებზე (საბიუჯეტო დაფინანსებაზე), თუმცა ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განსახორციელებლად ეს ორგანიზაციები ასევე წარმატებით სარგებლობენ ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

[19] სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაზე - © ბრიტანეთის საბჭო - https://www.britishcouncil.ge/sites/default/files/sco_print.pdf - http://apdyouth.wixsite.com/apdx/we-offer

შშმ პირებისთვის განვითარების არსებულ არათანაბარ გარემო-პირობებში გასაკვირი არაა, რომ გაცილებით დაბალი მდგრადობითა და რიცხოვნობით ხასიათდებიან შშმ პირთა (**DPOs**) ორგანიზაციები, რომლებიც არ ახორციელებენ სერვისებს და არ სარგებლობენ საბიუჯეტო დაფინანსებით. ეს ორგანიზაციები ცდილობენ რა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა, ძირითადად ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საქმიანობენ. ისინი სუსტი მენეჯმენტის პირობებში იშვიათად გვევლინებიან წამყვან ორგანიზაციებად პარტნიორულ პროექტებში. ზოგიერთი მათგანი, ასევე ახორციელებს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას. **DPOs** ორგანიზაციები იშვიათად აღწევენ დანარჩენი ანალიტიკური (**think tanks**) და სამოქალაქო მონიტორინგის (**watchdog**) საქმიანობის მქონე ა(ა)იპ-თან თანაბარ განვითარებას.

პარალელურად საკითხზე მომუშავე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, როგორც წესი, ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილნი და ჩართულნი კონვენციის განხორციელების სამთავრობო სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ თვითმმართველობის (მუნიციპალურ) დონეზე. მაგალითად, როგორც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს[20], ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა სერვისის მიმწოდებელია, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს ანდა ორგანიზაციები, რომელთა მცირე ანდა საშუალო ბიუჯეტიანი პროექტები, ასევე ფინანსდება ცენტრალური ანდა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან[21].

2013 წლის 10 მაისს თბილისში ჩატარდა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ყრილობა, რომლის მიზანიც იყო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობითი შემადგენლობის განახლება. საბჭოს სამდივნოს ინფორმაციით, ყრილობაზე დარეგისტრირდა 74 შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ა(ა)იპ, მათ შორის შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის (**DPOs**) სტატუსით 50 ორგანიზაცია[22].

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტი მიიჩნევს[23], რომ შშმ პირთა ორგანიზაციების (**DPOs**) იურიდიულ სამართლებრივი ფორმა არის წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არასამთავრობო) იურიდიული პირი, რომლის წევრთა შემადგენლობის მინიმუმ ნახევარი წარმოადგენს შშმ პირს, ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების განხორციელებისას გააჩნიათ უპირატესი როლი. საქართველოში დღემდე არ არსებობს შშმ პირთა ორგანიზაციების (**DPOs**) სამართლებრივი დეფინიცია, ამ მიმართულებით არ განხორციელებულა კვლევა და შესაბამისად

[20] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს დებულება - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3214

[21] თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილი #**15-01172492532** – 06/09/2017წ.

[22] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წერილი - 09.05.2013წ.

[23] Guidelines on the participation of disabled persons' organizations and civil society organizations in the work of the Committee (CRPD/C/11/2 , Annex II) - http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fC%2f11%2f2&Lang=en

ამოცანად რჩება, როგორც მათი რიცხვი, ისე სხვა მახასიათებლები (გეოგრაფიული განთავსება, საქმიანობის სფერო და ა.შ.).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით მიმაჩნია, რომ აუცილებელია შშმ პირთა ორგანიზაციების სამართლებრივი დეფინიცია, რათა შესაძლებელი გახდეს მათი იდენტიფიკაცია, ყოველივე კი უნდა განხორციელდეს კონვენციისა (მ31-პ3)[24] და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის[25] შესაბამისად. ეს საჭიროა, რათა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს განასხვავოს მსგავსი ორგანიზაციები საკითხზე მომუშავე დანარჩენი სუბიექტებისგან. ეს კი შეზღუდავს ტოკენიზმის[26] აშკარად გამოკვეთილ ტენდენციებს და გაზრდის შშმ პირებისა და მათი ორგანიზაციების (**DPOs**) კონვენციით გათვალისწინებული (მ4-პ3, მ29, მ33-პ3) ჩართულობის შესაძლებლობებს.

საყურადღებოა, რომ ეროვნულ და ადგილობრივ (მუნიციპალურ) დონეებზე არსებული საკონსულტაციო საბჭოების დებულებათა (დღეისთვის მოქმედებს 1 ეროვნულ[27] და 12 მუნიციპალურ დონეზე შექმნილი საბჭო) შესაბამისად მათ ფუნქციებში შედის, როგორც შშმ პირთა საკითხებზე პოლიტიკის ფორმირება, ასევე პროგრამების განხორციელების შეფასება და მონიტორინგი. ყოველივე კი წარმომადგენლობითი დისბალანსის პირობებში ქმნის ინტერესთა შეუთავსებლობის მნიშვნელოვან რისკებს[28]. საგულისხმოა, ასევე ის გარემოება, რომ არც ერთ დონეზე საბჭოს შემადგენლობაში არ არიან წარმოდგენილნი[29] ანალიტიკური (**think tanks**) და სამოქალაქო მონიტორინგის (**watchdog**) საქმიანობის მქონე ა(ა)იპ-ები, ხოლო შშმ პირთა **ორგანიზაციები** (**DPOs**), რომლებიც არ სარგებლობენ საბიუჯეტო დაფინანსებით, უმცირესობაში რჩებიან და ვერ ახდენენ გავლენას პროცესებზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, 2015-2017 წლებში მერიამ ***548 429.25*** ლარით [30] საკითხზე მომუშავე ა(ა)იპ-ების მიერ მომზადებული, შშმ პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობაზე მიმართული 58 პროექტი დააფინანსა, რომელთაგან არც ერთი არ ითვალისწინებდა საკითხთან დაკავშირებულ კვლევით საქმიანობებს. საბჭოები, ასევე არ იყენებენ სოციალურ ქსელებს, რათა დაინტერესებულთათვის, მათ შორის შშმ პირებისთვის მისაწვდომი გახადონ საკუთარი საქმიანობის დღის წესრიგი, მიმდინარე პროცესები, მიღებული გადაწყვეტილებები. მიუხედავად

[24] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (მ31-პ3) - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289

[25] საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

[26] ტოკენიზმი (Tokenism) – ინგლისური სიტყვაა და უმცირესობების ცრუ ჩართულობასა და ფორმალური წარმომადგენლობის უზრუნველყოფას ნიშნავს - http://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tokenism

[27] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს დებულება - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3214

[28] გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე. განცხადების ნომერები: **NAT160000163, NAT170005021, NAT170002502, NAT170002502, SPA150032782, -** https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge**;** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილი #15-01172492532 – 06/09/2017წ.

[29] თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილი #**15-01172492532** – 06/09/2017წ.

[30] თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილი #**15-01172492532** – 06/09/2017წ.

საბჭოების დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დღემდე ვერ წარმოადგინა მონიტორინგის ანგარიში მიმდინარე პროგრამებზე[31].

ზემოაღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო ვერ აცნობიერებს შშმ პირთა ჩართულობის მნიშვნელობას კონვენციის განხორციელების პროცესში. შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები არ იცნობენ კონვენციას, გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის სახელმძღვანელო მასალებს, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს და არც შშმ პირთა ჩართულობის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს[32].

კონვენციის განხორციელების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის უკიდურესად დაბალ მაჩვენებელზე მეტყველებს, ასევე ის გარემოება, რომ კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე სხვა ანალიტიკური და სამოქალაქო მონიტორინგის ა(ა)იპ-ებისგან განსხვავებით ფაქტიურად არცერთ **DPOs ორგანიზაციას** არ აქვს გამოქვეყნებული კვლევები და მონიტორინგის ანგარიშები, ასევე მცირედი გამონაკლისის გარდა, არ წარმართავს ადვოკატირების კამპანიებს და არც რეგულარულ მედიაგანცხადებებს ავრცელებს. მრავლის მეტყველია, ასევე თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[33], რომელიც იმავდროულად წარმოადგენს კონვენციის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მაკოორდინირებელ უწყებას, კონვენციის რატიფიცირებიდან 2017 წლის აგვისტოს ჩათვლით შშმ პირთა საკითხებთან დაკავშირებით სულ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა 25-მა ა(ა)იპ-მა.

[31] თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილი #**15-01172492532** – 06/09/2017წ.

[32] სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით -2013 - საქართველოს სახალხო დამცველი - http://ombudsman.ge/uploads/other/0/104.pdf

[33] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01/55047, 25.08.2017წ.